ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 3

ქ. თბილისი

27.02.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

4. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

5. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

6. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

7. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
8. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა

გურამ გამრეკელი (რუსთავის მიტროპოლიტი იოანე) - სკოლის დირექტორი

ლევან ქურდიანი - დირექტორის მოადგილე

ნინო სირაძე- ხარისხის მართვის ხელმძღვანელი

2. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრი

რუსუდან მანელიშვილი - სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი

მაგდა ნადარეიშვილი - ორგანიზატორი

ტარიელ ქათამაძე - იურისტი

3. შპს ახალი ქართული გიმნაზია

ელზა ბადაშვილი - კონსულტანტი

4. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

მარინა მჭედლიშვილი - დირექტორი

თამარ ესიტაშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

5. შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემია

თეა მელაძე - პროფესიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი

ნატო ზარნაძე - დირექტორის მოადგილე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ლიანა კობესაშვილი

თამარ ამზაშვილი

ნელი ნასყიდაშვილი

მაკა ტუკვაძე

ნინო ფეტვიაშვილი

მიხეილ ტეფნაძე

ნინო ბალანჩივაძე

ცირა ნიკოლაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16;20 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურ ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
3. შპს ახალ ქართულ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
4. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის დღის წესრიგში შესულიყო ცვლილება შპს ახალი ქართული გიმნაზიის წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე და დღის წესრიგში N 3 საკითხად განსახილველი, ახალ ქართულ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები განეხილათ პირველ საკითხად. საბჭო დაეთანხმა და ერთხმად დაამტკიცა სხდომის შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს ახალ ქართულ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურ ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. შპს ახალ ქართულ გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ფეტვიაშვილმა და მიხეილ ტეფნაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, დაწესესბულებას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებითი ხარვეზები არ გააჩნდა.

ექსპერტის თქმით, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე რამდენიმე საგნობრივ გეგმას ეწერა „ბილინგვური სწავლება", რომლის განხორციელებას სპეციალურად შედგენილი პროგრამა, სახელმძღვანელოები, სწორად შერჩეული მეთოდიკა და შესაბამისად გადამზადებული ადამიანური რესურსი ესაჭიროებოდა, რასაც სკოლა რეალურად არ ახორციელებდა. გარდა ამისა, პროგრამა პროგრამული აკრედიტაციით უნდა ყოფილიყო დადასტურებული, ამიტომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჩაესწორებინათ ეს უზუსტობა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ დაწყებითი საფეხურის რამდენიმე მოსწავლეს. კერძოდ, რუსული სექტორის მე-3, მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებს. სკოლის დოკუმენტაციიდან გამომდინარე ქართული ენა ისწავლებოდა პირველივე კლასიდან, როდონაიას ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებით, ამიტომ გასაუბრება შედგა ქართული ენის საკომუნიკაციო უნარების შემოწმების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოსწავლე, გარდა მეექვსე კლასის ორი მოსწავლისა, კითხვებს თავისუფლად და ადექვატურად პასუხობდა. ეს ორი მოსწავლე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და გიმნაზიაში ახალი გადმოსულები იყვნენ. როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა განმარტა, ისინი ინდივიდუალური გეგმით მუშაობდნენ და წელს მოუწიათ ანბანით დაწყება. ინდივიდუალური გეგმა შედგენილი იყო მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, თუმცა არ იყო

დირექტორის მიერ დამტკიცებული და დაოქმებული, ამიტომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია ეს ხარვეზი გამოესწორებინა და გაეფორმებინა გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი წერების ანალიზის ოქმები კათედრებისა და კლასების მიხედვით. ოქმებში მითითებული იყო კლასებისა და საგნების მიხედვით წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ექსპერტების რეკომენდაცია იყო, საბუნებისმეტყველო საგნებში შემაჯამებელ დავალებებში, გამოეყენებინათ დავალებათა სხვადასხვა ტიპი: კვლევა, პრაქტიკული დავალებები, პროექტი, პრეზენტაცია და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, შპს ახალი ქართული გიმნაზია საჯარო რეესტრის 2017 წლის 19 აპრილის ამონაწერის მიხედვით მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, „ა" მიკრორაიონში ნაკვეთი 17/07. საკუთრებაში ფლობდა 2005 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე მდგომ 2000.73 კვ.მ. შენობა-ნაგებობასა და მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ღია მოედანს. შენობა-ნაგებობაში განთავსებული იყო 29 საკლასო ოთახი. დაწესებულებას ჰქონდა 350 ერთადგილიანი მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახს ჰქონდა, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. აღჭურვილი იყო დაფებითა და საჭირო სხვადასხვა ინვენტარით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას ბიბლიოთეკიდან გატანილი იყო რამდენიმე სასწავლო სახელმძღვანელო. მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ მიცემულ იქნა რეკომენდაცია, შეეძინათ სახელმძღვანელოების დამატებითი ეგზემპლიარები, რათა ბიბლიოთეკიდან სასწავლო სახელმძღვანელოს ერთეულის გატანის შემთხვევაში აღნიშნულ სახელმძღვანელოზე წვდომა ყველას ჰქონოდა.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, შპს ახალ ქართულ გიმნაზიაში მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით მონიტორინგის ვიზიტის დროს ირიცხებოდა 233 მოსწავლე, მათგან 14 უცხო ქვეყნის მოქალაქე. სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით

განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი: დირექტორი, კონსულტანტი, დირექტორის მოადგილეები, ხარისხის მენეჯერი, 34 მასწავლებელი, ექიმი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, იურისტი და სხვ. სკოლის პერსონალთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. პედაგოგები შერჩეულნი იყვნენ სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. როგორც აღინიშნა, სკოლას ჰყავდა 34 მასწავლებელი. რომელთაგან 8 იყო უფროსი მასწავლებელი. პერსონალის მიერ წარმოდგენელი იყო განათლების დამადასტურებელი დიპლომები ან/და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები, ავტობიოგრაფიები (CV), და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

მონიტორინგის ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ჩაატარეს გასაუბრება გიმნაზიის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. მასწავლებლებთან და დირექციის წარმომადგენლებთან საუბრის თემა იყო კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია და საჭიროების შემთხვევაში, მართვა. საუბარში მონაწილეობას იღებდა სკოლის ფსიქოლოგი, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისი მუშაობის პრინციპები და გეგმები. განხილული იყო კონფლიქტის ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა. საუბრისას შეიმჩნეოდა ერთიანი ხედვა და აღებული პასუხისმგებლობის გათავისება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ახალი ქართული გიმნაზიის (ს/კ:200036497) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლურ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და თამარ ამზაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ლიანა კობესაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის მიზეზი იყო ცენტრში შემოსული მოსწავლის მშობლის საჩივარი, რომელიც შეეხებოდა მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მიმართ შესაძლო ძალადობას. კერძოდ, მშობელი აცხადებდა, რომ მასწავლებელმა უხეშად მიმართა ბავშვს და თმები მოქაჩა.

ექსპერტის განცხადებით, მათ აწარმოეს მოკვლევა მათი კომპეტენციის ფარგლებში, რის შედეგადაც ფაქტი არ დასტურდებოდა. სკოლის პედაგოგთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ ბავშვი საჭმელს არ ჭამდა და მან უბრალოდ შესთავაზა დახმარება, რადგან ზარი დარეკილი იყო და გაკვეთილი იწყებოდა. იგივეს ადასტურებდნენ მოსწავლეები, რომლებიც შეესწრნენ აღნიშნულ ფაქტს.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ ექსპერტებს მიმართა, გაესაუბრნენ, თუ არა მშობელს. ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა უპასუხა, რომ მშობელთან გასაუბრება არ მოხერხდა, რადგან ბავშვი უკვე გადაყვანილი ჰყავდა სხვა სკოლაში და არ ისურვა ამ თემაზე საუბარი. საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ თქვა, რომ სამართლიანობა მოითხოვდა ორივე მხარის პოზიცია მოესმინათ და ისე მიეღოთ გადაწყვეტილება.

სკოლის დირექტორმა, მეუფე იოანემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტს წინ უძღოდა მშობლის განაწყენება, რაც განპირობებული იყო სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან შენიშვნის მიცემით.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, მშობელმა ბავშვი სწავლის მიმდინარეობისას საზღვარგარეთ წაიყვანა ისე, რომ სკოლას არ შეატყობინა, რის გამოც მოსწავლე სასწავლო პროცესს ჩამორჩა. ასევე, სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ბავშვს სკოლაში, გახანგრძლივებულ კლასში სწავლის მიუხედავად, ხშირად უშვებდნენ ისე, რომ საჭმელს არ ატანდნენ და ბავშვი, რომ არ ყოფილიყო მშიერი მთელი დღის განმავლობაში, მას ატრაპეზებდნენ სკოლაში.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, ექსპერტებს მიმართა, მასწავლებლები იყვნენ, თუ არა ჩართული სქემაში, ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა უპასუხა, რომ სკოლამ წარმოადგინა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 17 მარტის ცნობა, რომლითაც ადასტურებდა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირების - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შეფასების სქემასთან თავსებადი სისტემის კომისიამ განიხილა სკოლის მიერ წარდგენილი „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემა“ და თანადართული დოკუმენტაცია და კომისიის დასკვნის საფუძველზე სკოლას ნება დაერთო დაეწყო მუშაობა მის მიერ წარდგენილი ალტერნატიული სქემის მიხედვით. სკოლა ამ ეტაპზე ამზადებდა მასწავლებელთა ბაზებს და შეჰყავდა მათი მონაცემები.

გარდა ამისა, საპტრიარქოსთან არსებული მეფე დავით აღმაშენებლის განათლების ცენტრი წელიწადში ერთხელ უფინანსებდა სკოლას მასწავლებელთა ტრენინგებს.

სკოლაში მიღებული პრაქტიკა იყო გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმნა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის მართლმადიდებლური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის (ს/კ:205241148) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურ ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და მაკა ტუკვაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, 2017 წლის 14 და 15 ოქტომბერს დაწესებულებაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის ვიზიტი. 2018 წლის 21 დეკემბრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N 28 სხდომაზე საბჭომ განიხილა საკითხი და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით დაწესებულებას განუსაზღვრა 60 დღიანი ვადა. შესაბამისად, სკოლამ ცენტრში წარმოადგინა გამოსწორებული დოკუმენტაცია.

კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზი მდგომარეობდა შემდეგში: არ იყო შესრულებული პირველი სემესტრში რამდენიმე შემაჯამებელი წერა. ასევე არ იყო გაკეთებული ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი. სკოლამ ცენტრში წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების გრაფიკი, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალებების ანალიზები.

ექსპერტის თქმით, შემდეგი ხარვეზი ჟურნალში არჩევითი საგნების დასახელებების არარსებობა იყო. ასევე, აღნიშნული საგნები არ იყო შეტანილი საათობრივ ბადეში. ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ხარვეზები გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში სკოლას მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გააჩნდა ხარვეზები. კერძოდ, ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები არ იყო მწყობრში. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებდა ხარვეზის გამოსწორებას და ცეცხლმაქრების ვარგისიანობას 2018 წლის 30 ნოემბრამდე. ასევე, სკოლის ვებგვერდი 2016 წლის შემდეგ არ მუშაობდა და ვერ ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, თუმცა ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვებგვერდის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სკოლამ მასწავლებლებისთვის ტრენინგი ჩაატარა თემაზე „შემაჯამებელი წერა და შეფასება". საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა ტრენინგი. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტრენერი მოწვეული ჰყავდათ მასწავლებელთა სახლიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.3. ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა 48 პედაგოგი. აქედან, ვიზიტის პერიოდში 7 პედაგოგი არ იყო მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული წინსვლის სქემაში ჩართული, თუმცა ამ პედაგოგთაგან 2 მასწავლებელი გადავიდა სკოლიდან, ერთმა პედაგოგმა მიიღო სტატუსი, ხოლო დარჩენილი 4 პედაგოგის შემთხვევაში, სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო აღნიშნულ პედაგოგებთან ვადით, სქემაში ჩართული პედაგოგების მოძიებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის (ს/კ:247009801) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

19:00 საათზე სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა, გრიგოლ მურღლიამ და არჩილ სუმბაძემ.

4. შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ ნინო ბალანჩივძის განცხადებით, შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართმადიდებლურ სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტატუსი მიენიჭა 2013 წელს. 2017 წლის 11 და 12 დეკემბერს კი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით სკოლაში განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო თბილისში, ბოჭორმის ქ. N23 -ში მდებარე შენობაში, ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ 2016-2017 სასწავლო წელს სკოლის ადმინიისტრაციას ფართთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემა და შეიცვალა მისამართი, თუმცა ცენტრისთვის ფართის ცვლილების შესახებ არ უცნობებია. კერძოდ, დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებდა ორ სხვადასხვა შენობაში: N1 შენობა მდებარეობდა შირაქის ქუჩა N 28-ში, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი იყო 336.69. N2 შენობა მდებარეობდა ცუცხვატის ქუჩა N4-ში, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი იყო 485,91 კვ.მ.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ აცნობა დაწესებულებამ ცენტრს ფართის ცვლილების შესახებ. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულება ახალ მისამართზე სულ რამდენიმე კვირის გადასული იყო და მატერიალური რესურსები ავტორიზაციის სტანდარტთანარ შეუსაბამო იყო, ამ ხარვეზის მოწესრიგების შემდეგ აპირებდნენ ცენტრისთვის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ, აღნიშნა, რომ მოსწავლეებთან ინტერვიუირებით და სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით დგინდებოდა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა N 1 შენობაში 2016/2017 სასწავლო წლებში, ხოლო N 2 შენობაში 2017/2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.

ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად განსაზღვრული არ იყო სპორტის სახეობები, მაგრამ ინტერვიურებით გაირკვა, რომ სკოლაში ტარდებოდა ჭადრაკის, ხრიდოლისა და მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები. აქედან გამომდინარე, შენობის დათვალიერებით, დადგინდა, რომ დაწესებულების ზემოაღნიშნული მისამართის N1 შენობაში სპორტის გაკვეთილებისათვის განსაზღვრული იყო ერთი ოთახი, სადაც განთავსებული იყო ოთხი ცალი სავარჯიშო ლეიბი ხრიდოლისათვის, თუმცა ხრიდოლისათვის საჭირო აღჭურვილობა, ფარები და ხმლები სკოლას არ ჰქონდა. ამასთანავე, N2 შენობის ფარეხში ინახებოდა მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, რომელსაც ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროებისამებრ იყენებდნენ. რაც შეეხეეხებოდა ჭადრაკს, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში ინახებოდა 8 ცალი ჭადრაკის დაფა, რომელთა ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი.

სკოლის მიერ შეძენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისათვის საჭირო ლაბორატორიის აღჭურვილობა დასაწყობებული იყო შენობის ნულ სართულზე, საცურაო აუზის ოთახში. ადმინისტრაციის განმარტებით საბუნებისმეტყველო გაკვეთილებისათვის საჭირო აღჭურვილობა მასწავლებელს დაჰქონდა გაკვეთილების ჩატარების დროს საკლასო ოთახებში. თავად ლაბორატორია კი უახლოეს მომავალში სათანადოდ გაიმართებოდა.

სკოლას ამჟამად არ ჰყავდა სსსმ მოსწავლეები, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის N2 შენობის კიბის უჯრედებზე დააწყო ლითონის ასაკეცი პანდუსები, რომლებიც ნაკლებად უზრუნველყოფდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დაუბრკოლებლად გადაადგილებას შენობის ყველა სართულზე. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ დაამაგრა საყრდენი ლითონის სახელური მასწავლებლებისათვის განკუთვნილ N2 შენობის სველი წერტილის ოთახში. რაც შეეხება N1 შენობას, იქ არც სველი წერტილი იყო ადაპტირებული და არც ასაკეცი პანდუსი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლა არ იყო აღჭურვილი ხანძაარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით. ადმინისტრაციის განმარტებით განაცხადი გაკეთებული იყო სათანადო უწყებებში საევაკუაციო გეგმისა და ხანძარსაწინაარნდეგო ინვენტარის შესაძენად.

შენობის დათვალიერებისას სკოლის ერთ-ერთ ოთახში დასამუხტი სამი ცეცხლმაქრი იყო დაწყობილი.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, მათ უკვე გამოასწორეს აღნიშნული ხარვეზი და შესაბამისი ფოტომასალა თან ჰქონდათ წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა ექსპერტ ნინო ბალანჩივძეს, მიუხედავად ხარვეზებისა, მიმდინარეობდა თუ, არა სკოლაში სასწავლო პროცესი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა და ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები კმაყოფილები იყვნენ სკოლაში შექმნილი გარემოთი.

საბჭოს თავმჯდომარემ 19:20 საათზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 19:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ზემოთ აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით და ექსპერტების დადასტურების საფუძველზე, რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას 2018 წლის ზაფხულში უწევდა ავტორიზაციის გავლა, არ გაუუქმებდნენ ავტორიზაციას, თუმცა საბჭოს წევრებმა იქვე აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროს იქნებოდნენ ძალიან მკაცრები და ექსპერტთა დასკვნასა და ოქმში ასახული ხარვეზების სრულად გამოუსწორებლობის შემთხვევაში დაწესებულება ავტორიზაციას ვერ გაივლიდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს წმინდა ბარბარეს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის (ს/კ:406086257) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომაზე საკითხი განსახილველად წარმოადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა.

ლალი შაიშმელაშვილის განცხადებით, ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 28 სექტემბრის N 26 სხდომაზე საბჭოს მხრიდან დაისვა საკითხი, განხორციელებულიყო შპს ყოვლაწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის მონიტორინგი ავტორიზაციიდან 3 თვის ვადაში, რის თაობაზეც ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 ოქტომბერს ეცნობა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ცენტრის დირექტორის მითითებით, მიიღო გადაწყვეტილება, მონიტორინგი განეხორციელებინა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

2017 წლის 12 დეკემბრის და 2018 წლის 5 იანვრის წერილებით ცენტრმა მიმართა შპს ყოვლაწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის დირექტორს, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილს და მონიტორინგის განხორციელების მიზნით მოხდა შემდეგი დოკუმენტაციის გამოთხოვა:

- ავტორიზაციის რეჟიმში არსებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი (მათ შორის, სასწავლო გეგმები და სილაბუსები/ მოდულები)- ელექტრონული სახით;
- პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სია, სადაც მითითებული იქნებოდა, ეს სტუდენტები იყვნენ თუ არა პარალელურად შპს ყოვლაწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მოსწავლეები;
- თუ სკოლის მოსწავლეებს იმავდროულად ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ინფორმაცია მათი კვირეული დატვირთვის თაობაზე ორივე პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულებამ 2017 წლის 19 დეკემბერს (N 1551590) და 2018 წლის 24 იანვარს (N 64885) წარმოადგინა ჩვენ მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომლის ადგილზე შესწავლამ ცხადყო, რომ დაწესებულება, ახორციელებდა რა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N103 და 28 სექტემბრის N106 გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ საგნობრივ პროფესიულ პროგრამებს - ბუღალტერი, ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი), ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი - ჩარიცხული მოსწავლე/პროფესიული სტუდენტების რიცხვი ბუღალტრის მე-3 საფეხურის პროგრამაზე იყო 3, ინტერნეტტექნოლოგის პროგრამაზე იყო 11, კრიმინალისტის პროგრამაზე იყო 6 და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტზე იყო 4. წარმოდგენილი იყო შესაბამისი სასწავლო გეგმები, წარმოდგენილი სასწავლო გეგმა გონივრული კვირეული დატვირთვის პრინციპით იყო აგებული. მოსწავლეები/პროფესიული სტუდენტები გონივრულად დასაშვები კვირეული დატვირთვის ფარგლებში გადიოდნენ, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ სასწავლო კურსებს, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ საგნებს/ მოდულებს. რადგანაც არ არსებობდა რეგულაცია, რომელიც ადგენდა პარალელური სწავლების შემთხვევაში საერთო კვირეული დატვირთვის ოდენობას, ჩავთვალეთ, რომ საათების არსებული განაწილება მისაღები იყო. 2017-2018 სასწავლო წელს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული ჰყავდათ მხოლოდ ისეთი პროფესიული სტუდენტები, რომლებიც სკოლაში არ სწავლობდნენ. მათთვის გაწერილი იყო სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებში სწავლას დაასრულებდნენ 2019 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლამ ცხადყო, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ორგანიზების ნაწილში დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრბმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის (ს/კ:202065068) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 20:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე